

შეთანხმება

საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“
და შპს „ენერჯია“ შორის 2011 წლის 17 მაისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში
ცვლილებების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი

31 ივლისი, 2015 წ.

საქართველოს მთავრობა (შემდგომში „მთავრობა“) წარმოდგენილი საქართველოს
ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის მიერ,

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორი“ (შემდგომში „ესკო“) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ვახტანგ ამბოკაძის მიერ, და

შპს „ენერჯია“ (შემდგომში „კომპანია“) ს/კ: 401950037, წარმოდგენილი მისი დირექტორის გაიოზ უგრელიძის (პ/ნ 01010004138) მიერ,

დებენ წინამდებარე შეთანხმებას მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და კომპანიას შორის 2011 წლის 17 მაისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმში (შემდგომში „მემორანდუმი“) ცვლილების შეტანის თაობაზე:

1. შეიცვალოს მემორანდუმის მე-3 მუხლის 3.3 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.3. ქვეყნის ელექტრომომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიის მიერ წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში აშენებული ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვებიდან 10 წლის განმავლობაში, თითოეული წლის ზამთრის პერიოდში, კერძოდ ნოემბერში, დეკემბერში და იანვარში, ობიექტის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯიის სრული ოდენობის რეალიზაცია განხორციელდება მხოლოდ საქართველოს შიდა მოხმარების უზრუნველსაყოფად.“

2. შეიცვალოს მემორანდუმის მე-3 მუხლის 3.4 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“3.4 კომპანია ვალდებულია წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში აშენებული ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვებიდან 10 წლის განმავლობაში, ობიექტის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯიის სრული რაოდენობის რეალიზაცია განხორციელდეს „ესკო“-ზე წინასწარ გაფორმებული ელექტროენერჯიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით და ამ პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. ამასთან, „ესკო“ იღებს ვალდებულებას, აღნიშნული 10 წლის განმავლობაში შეისყიდოს ობიექტის მიერ გამომუშავებული და ამ პუნქტის შესაბამისად კომპანიის მიერ წინასწარ გაცხადებული ელექტროენერჯიის რაოდენობა, ელექტროენერჯიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული

პირობების შესაბამისად. „ესკო“-ს მიერ ამ პუნქტით და ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი ელექტროენერჯის ფასი თითოეული წლის ოქტომბრიდან მარტის თვის ჩათვლით განისაზღვრება 6,5 აშშ ცენტის ოდენობით, ხოლო აპრილიდან სექტემბრის თვის ჩათვლით 5 აშშ ცენტის ოდენობით. წინამდებარე 3.4 პუნქტით გათვალისწინებულ კომპანიის ვალდებულებაზე არ ვრცელდება ამ მემორანდუმის 3.6, 3.8 და 3.9 პუნქტების მოქმედება.“

3. მემორანდუმის სხვა მუხლები და დებულებები დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.
5. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მასთან ერთად. იგი შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.
6. ამ შეთანხმების ფარგლებში წარმოშობილი ნებისმიერი დავა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.
7. მხარეთა ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობა


კახა კალაძე

სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორი“

ვახტანგ ამბოკაძე

შპს „ენერჯია“

გაიბე უგრელიძე



საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1333 2015 წლის 23 ივნისი ქ თბილისი


საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ენერჯიას“ შორის 2011 წლის 17 მაისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ენერჯიას“ შორის 2011 წლის 17 მაისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე დასადავბი შეთანხმების პროექტი.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, შეთანხმებას, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ვახა კალამემ.

პრემიერ-მინისტრი -

ირაკლი ღარიბაშვილი



13258



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010145800446015

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ. 24 ა ტელ. 2 40 51-48, 2 40-58-36 ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36. E-MAIL: info@justice.gov.ge

№4088

25 / მაისი / 2015 წ.

საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის
შოადგილეს,
ბატონ ირაკლი ხმაღაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2015 წლის 15 მაისს №04/1844 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ენერჯიას“ შორის 2011 წლის 17 მაისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში, საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „GGEDC“-სა და შპს „ენერჯიას“ შორის 2012 წლის 13 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმსა და საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ყაზბეგი ჰენს“ შორის 2012 წლის 13 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე შეთანხმებების განახლებული პროექტები, რომლებთან დაკავშირებით გაგნობებთ, რომ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს.

პატივისცემით,

გ. დიმიტრაძე

მინისტრის შოადგილე

გომა ლორთქიფანიძე




ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი
Electricity Market Operator

საქართველო, თბილისი, 0114, ბარათაშვილის ქ. 2
ტელეფონი: 2401420; ფაქსი: 2601915

2 Baratashvili Tbl., 0114 Tbilisi, Georgia
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915

N 01/535
20/05/2015

535-01-2-201505201643



თანხმობა ხელმოსაწერი ურთიერთგაგების
მემორანდუმში ცვლილების შეტანის
თაობაზე შეთანხმების პროექტებთან
დაკავშირებით

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის
მოადგილეს ბატონ ირაკლი ხმაღამეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2015 წლის 15 მაისის #04/1843
წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ბაზრის ოპერატორმა განიხილა საქართველოს
მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს
„ენერჯიას“ შორის 2011 წლის 17 მაისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში,
საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ
ოპერატორს“, სს 'GGEDC'-სა და შპს 'ენერჯიას' შორის 2012 წლის 13 ივლისს დადებულ
ურთიერთგაგების მემორანდუმსა და საქართველოს მთავრობას, სს
„ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ვაზბეგი ჰესს“
შორის 2012 წლის 13 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში

OFFICE@ESCO.GE • WWW.ESCO.GE


სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“
რეგისტრირებულია საქართველოს საგადასახადო ანგარიშსწორების ბიუროს მიერ 07.08.2006; სსიგ კოდი 205170036

ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATOR JSC
Registered by Tbilisi Tax Inspectorate on 07.08.2006; ID CODE 205170036

ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმებების განახლებული პროექტები, რომლებთან დაკავშირებითაც შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

ვახტანგი ამბოკაძე



გენერალური დირექტორი